საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ,,ქ. თბილისი, დიდი დიღომი, (ნაკვ. ს/კ 01.72.14.035.587) 11 სართულიანი (მანსარდით) შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების კვლევის შედეგები".

შ.პ.ს. ,,ქართული სახლი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის 27 მარტს შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დიდ დიღომში, 11 სართულიანი (მანსარდით) შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.035.587) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, დიდ დიღომში, 11 სართულიანი (მანსარდით) შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.035.587) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინდ. საწარმო ,,ბესიკ დევდარიანი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2017 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელები ინჟინერ-გეოლოგები ბ. დევდარიანი და ს. კანდელაკი. მათ მიერ არის შესრულებული თიხოვანი გრუნტების თვისებების გამოკვლევა. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, მათი გამოკვლევა ჩატარდა გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 18გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. ცხრილი კლდოვანი გრუნტების თვისებებზე---------- 3გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე---------- 2გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 5ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 3ფურც.

პროექტით საკვლევ უბანზე უნდა აშენდეს 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, მანსარდით. შენობის ზომებია გეგმაში (26.3x26.2) მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული სახელოთი დაბურღით გაყვანილი იქნა 5

ჭაბურღილი. თითოეული 15-15.2 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნიადაგის ფენა;
2. ფენა 2 – თიხა, ხვინჭის ჩანართებით;
3. ფენა 3 – გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა.

ანგარიშში საკმაოდ ვრცლად არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და კლიმატური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ფენების (გარდა ნიადაგის ფენისა) საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 8.2-8.4 მ. სიღრმეზე. დამყარებული დონე 7.8-7.9 მ. წყალი იჩენს სხვადასხვა სიძლიერის აგრესიულობას, სხვადასხვა ცემენტებზე დამზადებული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, დიდ დიღომში, 11 სართულიანი (მანსარდით) შენობის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.035.587), აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/